ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1195853

ნომერი: AR1207205

თარიღი : 26.03.2014

გაცემის თარიღი : 31.03.2014

გაცნობის თარიღი : 01.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კირილე მორჩილაძე პ/ნ 01010006347
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ მ/რ კორპ.5

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "საინვესტიციო ჯგუფი პრაღა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404454327
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით კანდელაკი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030006560

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 425.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 105.24
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 420.96

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 315.72
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 105.24
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენი საკითხი და განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან თქვენს მიერ არ იქნა ატვირთული სადემონტაჟო არსებული შენობის აზომვითი ნახაზები ვერ ხერხდება სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლებისა და მისი პარამეტრების გადამოწმება. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს მიერ დაგეგმილი სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილის ველში უნდა აიტვირთოს სადემონტაჟო შენობის სრულყოფილი დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი რომელიც მოიცავს :

– განმარტებით ბარათს: ტერიტორიაზე არსებული შენობების მითითებით, სადემონტაჟო პროცედურის წარმოების თანმიმდევრობის აღწერას და სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისას მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობების უსაფრთხოებისა და მათზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის აცილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას (წარმოდგენილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის წარმოებისათვის განკუთვნილი ტექსტი ხოლო შტამპები შევსებულია დემონტაჟის ორგანიზაციის დასათაურებით) და სადემონტაჟო ობიექტების ექსპლიკაციას (საკადასტრო გეგმის შესაბამისად დანომრილი შენობების ნუმერაციით, თითოეულის მახასიათებლების მონაცემებით და შემდგომ ყველა შენობის ჯამური მონაცემებით, ასევე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან რამოდენიმე შენობაა განთავსებული ტერიტორიაზე და გეგმავთ ყველა ამ შენობების დემონტაჟს 0, 00 ზევით მონაცემში უნდა დააფიქსიროთ ამ შენობებიდან ყველაზე მაღალი ნიშნულის მონაცემი , ხოლო 0, 00 ქვევით მაქსიმალური ჩაღრმავების ნიშნული) ;

– სადემონტაჟო შენობის აზომვით ნახაზებს (სრული შემადგენლობით: გეგმები ფასადები და ჭრილები,) დამოწმებული შესაბამისი სპეციალისტ(ებ)ის მიერ. აწყობილი ერთი pdf ფაილის სახით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.